

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 19 “ 12 “ 2013 წელი

ეგზ. № 2

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში 64/00

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის ობიექტი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
ინფორმაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესახებ	5
აუდიტის მიდგომა	6
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები.....	7
უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	8
გარემოება №1. პრივატიზებული საცხოვრებელი შენობები	8
გარემოება №2. კაპიტალური ხარჯების აღრიცხვა.....	9
გარემოება №3. არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის აღრიცხვა	10
გარემოება №4. სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივების აღრიცხვა	11
გარემოება №5. მცირეფასიანი ინვენტარის აღრიცხვა	11
გარემოება №6. შემოსავლების აღრიცხვა	12
გარემოება №7. წმინდა ღირებულების ანგარიში	13
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა.....	14
უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	14
ფინანსური ანგარიშგება.....	14
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	16
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	18
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	19
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.....	20
ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯები.....	22
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	23
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	23

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების¹ აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ შესაბამისად.

¹ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლობიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესახებ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში შეადგინა 11.8 მლნ ლარი, რაც 13%-ით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე. აქედან, შემოსავლები - 8 087.1 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლება - 3 776.3 ათასი ლარი, ხოლო ბიუჯეტის 2012 წლის გადასახდელებმა შეადგინა - 12.9 მლნ ლარი, აქედან ხარჯები - 6236.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 6 709.0 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება - 8.5 ათასი ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2012 წელს განხორციელებული ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 3343.7 ათასი ლარი,
- წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები, ღირებულებით - 982.3 ათასი ლარი,
- გარე-განათების სისტემის მომსახურეობა და ექსპლოატაცია, ღირებულებით - 321.9 ათასი ლარი,

- ნაპირსამაგრი სამუშაოები - 244.2 ათასი ლარი,
- დასუფთავების სამუშაოები - 345.8 ათასი ლარი,
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 709.1 ათასი ლარი.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები, გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროცედურებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი,

შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა;
- ✓ გრძელვადიან აქტივებს მიკუთვნებული სამუშაოებისთვის ცვეთის კოეფიციენტის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვა;
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯების აღიარება ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა;
- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები შემოსავლების განსაზღვრა და სრულად აღრიცხვა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში არ ტარდებოდა კანონმდებლობით მოთხოვნილი ინვენტარიზაციის პროცესი, რის გამოც ვერ დგინდება არსებული მატერიალური ფასეულობების ნაშთების რეალურობა.

არ ხდებოდა ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას, რის გამოც საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც საჭიროებს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვას, მათ შორის:

- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის პარამეტრები მნიშვნელოვნად განსხვავდება ორგანიზაციის ბალანსში წარმოდგენილი შესაბამისი პარამეტრებისაგან,

- ქონების მართვის სამსახური არ აწოდებს ინფორმაციას ბუღალტერიას მუნიციპალური ქონების მოძრაობის შესახებ.

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

გარემოება №1. პრივატიზებული საცხოვრებელი შენობები

ორგანიზაციის ბალანსის აქტივების ნაწილში შენობა-ნაგებობების მუხლში აღრიცხულია საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, საერთო ღირებულებით - 1 მლნ. ლარი, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მიერ შესყიდულ საცხოვრებელ შენობებს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების „არაფინანსური აქტივების“ მუხლში ასახულია და ცვეთა ერიცხება ისეთ აქტივებს, რომლებიც არ არის მისი საკუთრება. აღნიშნული აქტივის ჩამოწერა ბალანსიდან არ განხორციელდა მისი რეალიზაციის მომენტში, შედეგად მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსში არაზუსტადაა აღრიცხული არაფინანსური აქტივები, კერძოდ, გაზრდილია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი².

²იმის გამო, რომ საცხოვრებელი შენობების პრივატიზაციის პროცესის აღრიცხვა წლების განმავლობაში არ მომხდარა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა ბალანსში აღრიცხული 1 მლნ ლარიდან გამოეყო რეალიზებული და მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობები.

გავლენა/შესაძლო გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსში და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში³ „არაფინანსური აქტივების“ მუხლი არასაწორადაა გაზრდილი პრივატიზებული შენობა-ნაგებობის ღირებულების თანხით.
- შენობა-ნაგებობები რეალურად არ წარმოადგენს ორგანიზაციის აქტივს, ამიტომ მასზე დარიცხული ცვეთის თანხით, არასაწორადაა წარმოდგენილი ბალანსის დანართებში: ფორმა №2-ში, ფორმა №3-სა და ფორმა №5-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- მუნიციპალიტეტის ბალანსში და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში არასაწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

გარემოება №2. კაპიტალური ხარჯების აღრიცხვა

მუნიციპალიტეტის ბალანსის შედგენისას, გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, „შენობა-ნაგებობების“ მუხლში აისახება მხოლოდ ქუჩის სრული რეაბილიტაციის დროს, ხოლო გზის ნაწილის შეკეთების შემთხვევაში, გაწეული დანახარჯი არ არის აღიარებული აქტივად და ჩამოიწერება ხარჯებში. შედეგად, მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არაა 699.4 ათასი ლარის გზის კაპიტალური რემონტი⁴. აღნიშნული თანხით შემცირებულია ბალანსის „არაფინანსური აქტივების“ მუხლი.

გავლენა/შესაძლო გავლენა

აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას ახდენს ბალანსის აქტივების ნაწილში „შენობა-ნაგებობებისა“ და „კაპიტალის“ მუხლებზე, აგრეთვე წმინდა ღირებულების ანგარიშზე, კერძოდ:

³ ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.

⁴ იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ სამუშაოზე ვერ ხერხდება საპროექტო და საექსპერტო მომსახურების ღირებულების დადგენა, აღნიშნული თანხა არ მოიცავს პროექტებსა და ექსპერტიზაზე გაწეულ დანახარჯებს.

- ბალანსსა და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შესაბამისი თანხით შემცირებულადაა წარმოდგენილი,
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, ფორმა №3-სა და ფორმა №5-ში არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი დასარიცხი ცვეთის თანხით - ჯამში 38.5 ათასი ლარი,
- დანართ ფორმა №2-სა და ფორმა №3-ში კაპიტალური დანახარჯის მიდინარე ხარჯებზე მიკუთვნების შედეგად გაზრდილია ხარჯების მუხლი,
- ბალანსსა და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი დასარიცხი ცვეთისა და კაპიტალური ხარჯების მიმდინარე ხარჯად არასწორად კლასიფიცირების შედეგად.

გარემოება №3. არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის აღრიცხვა

მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ნაწილში არ არის ასახული სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული და შემდგომში რეალიზებული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, ღირებულებით - 44.5 ათასი ლარი, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა, საერთო თანხით - 14.4 ათასი ლარი. სულ არ აღრიცხულა სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული ქონება, საერთო ღირებულებით - 58.9 ათასი ლარი.

გავლენა/შესაძლო გავლენა

ბალანსის დანართ ფორმა №5-ში, არაფინანსური აქტივების „უსასყიდლოდ მიღებისა და გაყიდვის“ მუხლები შესაბამისი თანხით, არასწორადაა წარმოდგენილი.

გარემოება №4. სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივების აღრიცხვა

ფინანსური ანგარიშგების, არაფინანსური აქტივების ნაწილში ასახული არაა სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები (საძოვრები). გადმოცემის დროს მუნიციპალიტეტმა არ შეაფასა მიღებული ქონების ღირებულება და შესაბამისად, არ აიყვანა ბალანსზე⁵.

გავლენა/შესაძლო გავლენა

გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“ მუხლი, ასევე ბალანსის დანართ ფორმა №5-ში არასწორადაა წარმოდგენილი „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი.

გარემოება №5. მცირეფასიანი ინვენტარის აღრიცხვა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსის არაფინანსური აქტივების ნაწილში, „სხვა მცირეფასიანი ინვენტარის“ მუხლში ასახულია 12.3 ათასი ლარის ღირებულების საწვავის ტალონები. აღნიშნული აქტივი არასწორადაა კლასიფიცირებული და მისი აღრიცხვა უნდა მომხდარიყო „ფულადი დოკუმენტების“ მუხლით.

ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული საწვავის ტალონებიდან, 2.0 ათასი ლარის ღირებულების ტალონები წარმოადგენს სოფელ კოჭბაანის ტერიტორიული ერთეულის ბალანსიდან გადმოყოლილ ნაშთს, რომელიც წლების განმავლობაში ირიცხება შესაბამის ანგარიშზე, თუმცა მისი ფაქტობრივი არსებობა არ დასტურდება.

⁵ იმის გათვალისწინებით, რომ მიწების ღირებულება არ არის შეფასებული, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რა თანხითაა არასწორად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მუხლები.

გავლენა/შესაძლო გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 2 ათასი ლარით გაზრდილდაა წარმოდგენილი ბალანსის „სხვა მცირეფასიანი ინვენტარისა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები.
- აქტივის არასწორად კლასიფიცირების შედეგად, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება გასვლის შესახებ“ შემცირებულადაა წარმოდგენილი „ფულადი დოკუმენტების“ მუხლი და შესაბამისი თანხით გაზრდილია „სხვა მცირეფასიანი ინვენტარის“ მუხლი.

გარემოება №6. შემოსავლების აღრიცხვა

ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა

2012 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 135.2 ათასი ლარის ღირებულების ქონების რეალიზაცია, რომელიც არ აღრიცხულა შესაბამის ბუღალტრულ გატარებებში. რეალიზებული ქონების ნაწილი, საერთო ღირებულებით - 74.6 ათასი ლარი, საერთოდ არ ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე, დანარჩენი 60.6 ათასი ლარი მუნიციპალიტეტმა მიიღო თავის ბალანსზე რიცხული ლითონის სარწყავი მილების გაყიდვის შედეგად, რომელიც ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხა არა როგორც ქონების რეალიზაცია, არამედ როგორც აქტივების ჩამოწერა, რის შედეგადაც გაზრდილია ორგანიზაციის ხარჯები.

იჯარით გაცემული ქონებისგან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა

სხვადასხვა წლებში მუნიციპალიტეტს იჯარით გაცემული აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები (სადოვრები). საფინანსო სამსახური არ ახდენს წლის განმავლობაში მისაღები და ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების

აღრიცხვას, შესაბამისად, არ ხდება მიღებული თანხების მოძრაობის კონტროლი. იმის გათვალისწინებით, რომ აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა ყველა მოქმედი საიჯარო ხელშეკრულება, ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას აღურიცხავი მოთხოვნებისა და შემოსავლების საერთო მოცულობის შესახებ.

გავლენა/შესაძლო გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსსა და ბალანსის დანართ №3-ში „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- ბალანსის დანართ №4-ში, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „შემოსავლები საკუთრებიდან“.

გარემოება №7. წმინდა ღირებულების ანგარიში

მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსის წმინდა ღირებულების შესახებ დანართში დაშვებული შეცდომების ყოვლისმომცველობის გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას აღნიშნული დანართის სისწორესთან დაკავშირებით, კერძოდ:

- ნაშთი წლის დასაწყისისათვის - 14 439.5 ათასი ლარი, ასახულია როგორც დებეტის, ასევე - კრედიტის მხარეს.
- ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებაში ასახული თანხა - 24 638.3 ათასი ლარი, არ შეესაბამება ბიუჯეტის შემოსულობების მონაცემებს.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

დასკვნები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე წარმოდგენილია 2009-2012 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში, რომლის მიხედვითაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ ამ კუთხით განხორციელებული საქმიანობა შეუსაბამოა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ფინანსური ანგარიშგება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის ბოლოს
<u>I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები</u>			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	0.87	0.87
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	1210	1769447.93	670851.04
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	44089.03	9592.03
მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	2915	
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	247.31	247.31
სხვა საგადასახადო აქტივი	1433	9553.22	9441.22

სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	1446	6541.83	6541.83
სულ		1832795.19	696674.3

II. არაფინანსური აქტივები

შენობა-ნაგებობები	2110	11953433.78	14415393.44
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	403039.13	511248.02
სხვა ძირითადი აქტივები	2130	36099.83	33452.83
დაუმთავრებელი მშენებლობა	2140		365934.48
ინვენტარი	2220		61706.98
სხვა მცირეფასიანი ინვენტარი	2240	313387.22	285044.25
სულ არაფინანსური აქტივები:		12705959.96	15672780
სულ აქტივები:		14538755.2	16369454.3

ვალდებულებები და კაპიტალი

I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა

კრედიტორული დავალიანებები

ფინანსური ვალდებულებები(სესხები)	3332	70063	61572
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	3210	602	
სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		-93.37
გადასახდელი პროცენტები	3284	28546	20597
სულ ფინანსური ვალდებულებები		99211	82075.63

II. კაპიტალი

წმინდა ღირებულება	5100	14439544.15	16287378.67
სულ კაპიტალი:		14439544.15	16287378.67
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		14538755.2	16369454.3

III. საცნობარო მუხლები

ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	406156.32	409055.32
ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	7683627	8401300

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ათასი ლარი)

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ხარჯი ფაქტობრივი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	ხარჯები	2	5612	13603.4	0	0	12954	0	
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1169.6	1376.4	0	0	1375.9	0	
030	ხელფასები	211							
040	ხელფასები ფულადი ფორმით	2111	1169.6	1376.4			1375.9		
050	თანამდებობრივი სარგო	21111							
060	წოდებრივი სარგო	21112							
070	პრემია	21113							
080	დანამატი	21114							
090	ჰონორარი	21115							
100	კომპენსაცია	21116							
110	ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
	1.2 საქონელი და მომსახურება	22	1792.6	1971.9	0	0	1850.2	0	
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	124.6	170.2			170.2		
170	მივლინებები	222	27.2	27.6			23.7		
180	ოფისის ხარჯები	223	478.3	435.4			410.6		
190	წარმომადგენლობითი ხარჯები	224	46	48.7			43.7		
200	კვების ხარჯები	225	10	11			7.6		
210	სამედიცინო ხარჯები	226							

220	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	227							
230	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	274.3	326.1			323.2		
240	სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	832.2	952.9			871.2		
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23							
270	1.4 პროცენტი	24	7.9	7.9			7.9		
350	1.5 სუბსიდიები	25	1508.2	1724.6			1640.3		
360	1.6 გრანტები	26	330	330	0	0	330	0	
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	410	1062	0	0	1030.6	0	
560	1.8 სხვა ხარჯები	28	385.2	7122.1	0	0	6710.6		
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა		სახელმწიფო ბიუჯეტით				არასაბიუჯეტო			
		წლიური გეგმით		აქტობრივად		წლიური გეგმით		ფაქტიურად	
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა		184		184					
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა									

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქონის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი
1	2	3	4	5	6	7	8	9
010	1. არაფინანსური აქტივები	31						
020	1.1 ძირითადი აქტივები	311						
030	შენობა-ნაგებობები	3111	3095476	3095476	3095476	3095476	3095476	3095476
050	არასაცხოვრებელი შენობები	31112	494380	494380	494380	494380	494380	494380
080	გზები	31115						
110	საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118						
120	ელექტროგადამცემი ხაზები	31119						
140	სხვა შენობა-ნაგებობები	311111	2601096	2601096	2601096	2601096	2601096	2601096
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	134074	134075	134076	134077	134078	134079
160	სატრანსპორტო საშუალებები	31121	64600	64600	64600	64600	64600	64600
170	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	69474	69475	69476	69477	69478	69479

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშის №	ღებუტი	თანა	ანგარიშის №	კრედიტი	თანა	საბოლოო ნაშთი
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	14439 544		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	14439 544	16369 454
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	1366434	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	24638348	
7200	საქონელი და მომსახურება	49 68851	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	766000	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	7139 21				
7310	მ. შ. ფიზიკური ცვეთა		6000	შემოსავლები		
7400	პროცენტი		6100	მ. შ. გადასახადები		
7500	სუბსიდიები	1520000	6200	სოციალური შენატანები		
7600	გრანტები		6300	გრანტები		
7700	სოციალური უზრუნველყოფა	765200	6400	სხვა შემოსავლები	670851	
7800	სხვა ხარჯები	371339				
1300 2000	აქტივების უსასყიდლოდ გაცემა		1300 2000	აქტივების უსასყიდლოდ მიღება		
2100	მ. შ. ძირითადი აქტივების		2100	მ. შ. ძირითადი აქტივების		
2200	მატერიალური მარაგების		2200	მატერიალური მარაგების		
2300	ფასეულობების		2300	ფასეულობების		
2400	არაწარმოებული აქტივების		2400	არაწარმოებული აქტივების		
1300	ფინანსური აქტივების		1300	ფინანსური აქტივების		
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		
8100	მ. შ. ზარალი ფლობიდან		8100	მ. შ. მოგება ფლობიდან		
8200	სხვა მოცულობითი ცვლილებები		8200	სხვა მოცულობითი ცვლილებები		
3224	ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები*					
	საღებავი ბრუნვა	9705745		საჩრდილი ბრუნვა	26075200	
	სულ ჯამი**	24145289		სულ ჯამი***	40514744	

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (მიღება)

[illegible]

გ ა ს ც ლ ა									
არაფინანსური აქტივების დასახელება	გაყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	გრანტით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურების გამოყენება	ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
ძირითადი აქტივები	24000								14960094
შენობა-ნაგებობები								538372	14415393
საცხოვრებელი შენობები								16908	1003426
არასაცხოვრებელი შენობები								38507	2752660
სხვა შენობა-ნაგებობები								482957	10659307
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	24000							99383	511248
სატრანსპორტო საშუალებები	24000							57507	256796
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი								41876	254452
სხვა ძირითადი აქტივები								2647	33453
კულტივირებული აქტივები									
არამატერიალური ძირითადი აქტივები									
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი									

ავტომატების ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯები

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
1	2	3	4	5	6	7
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ -----74	262621.2	262621.2			262621.2	262621.2
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ -----71	242842.6	242842.6			242842.6	242842.6
აქედან ა) პერსონალური სარგებლობის -----63	12359 2.6	12359 2.6			12359 2.6	12359 2.6
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის -----8	119 250,0	119 250,0			119 250,0	119 250,0
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების -----3	19 778,6	19 778,6			19 778,6	19 778,6

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აუდიტორი:
გიორგი შურღაია



ხელმოწერა 18.12.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
მიხეილ ჩიქოვანი



ხელმოწერა 18.12.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა 18.12.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
სოფიო ბელთაძე



ხელმოწერა 18.12.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
ლელა მიქაძე



ხელმოწერა 18.12.2013 თარიღი